

ასსნა-განმარტება

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივამ” 2007 წლის 24 ივნისის №04/05-49, №04/05-50 და №04/05-51 ადმინისტრაციული საჩივრებით საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები და მოითხოვა მათი ბათილად ცნობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92 ბრძანებებით უარი გვეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ჩვენ შევეცდებით დაუვსაბუთოთ სასამართლოს, რომ მინისტრის მიერ ბრძანებების გამოცემისას დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა და აქედან გამომდინარე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა (2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92) და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472) ბრძანებები ბათილად უნდა იქნენ ცნობილი **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹** მუხლის შესაბამისად, ვინაიდან სახეზეა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა პირთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დარღვევა. ამასთანავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას სამინისტრო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების ჩაგარების დროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, “გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე”. უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგე მხარეების შესაგებელი შინაარსობრივად ერთი და იგივეა (სამინისტროების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები კი იდენტურია) და ვერც ერთ ჩვენს არგუმენტს ვერ სცემს პასუხს.

კანონის დარღვევები, რომლებიც თვალსაჩინოა ჩვენს მიერ გასაჩივრებულ აქტებში, პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ბლოკად:

- 1) საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები;
- 2) სალიცენზიო პირობების საკითხები;
- 3) გარემოსდაცვითი საკითხები (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული).

1) საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები

დაირღვა დაინტერესებული საზოგადოების კანონიერი უფლება მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მოახდინოს შეგავლენა ამ გადაწყვეტილებაზე. ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ ორჰუსის კონვენციით, ასევე საქართველოს გყის კოდექსით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აბსოლუტურად დაუსაბუთებლად არ მიაკუთვნა “მწვანე ალერნატივა“-ს ადმინისტრაციული საჩივრით წარმოდგენილი არგუმენტები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა კატეგორიას. ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტების მიღებისას დაირღვა საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებითა და ორჭუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

“ტყის კოდექსის” 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

“მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ; მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.”

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი:

“სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყის სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტყეთმომწყობის შესახებ;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის შესახებ;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებისათვის დაცვის რეჟიმის მიკუთვნების შესახებ;

დ) **სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ.**”

ხოლო, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

“ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას. “

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე და მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უფლებას აღიარებს ორჭუსის კონვენციის მე-6 მუხლი.

აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდა საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირების გარეშე და გაუმჭვირვალედ. საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ სათანადო ინფორმაცია და მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ვინაიდან აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მათთვის პოსტ ფაქტუმ (ხოლოდ 2007 წლის 2 აპრილის გაზეთ “24 საათში” აუქციონის გამართვის შესახებ სამინისტროს განცხადების გამოქვეყნების შედეგად) გახდა ცნობილი.

მოწინააღმდეგე მხარეების მტკიცება იმის თაობაზე, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყო, უსაფუძვლოა. ისინი აღნიშნავენ, რომ “სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დაახლოებით

1 წელია განთავსებულია “საქართველოს საგყეო პოლიტიკის დოკუმენტი”, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიმართულებას დაადგინოს გრძელვადიანი ცივისარგებლობის პირობები”. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგ: მოხსენიებულ დოკუმენტს აქვს პროექტის სახე, რომელიც 1 წლის განმავლობაში (2006 წლის გაზაფხულიდან 2007 წლის გაზაფხულამდე) ოთხჯერ შეიცვალა, ოთხივე დოკუმენტი სათაურით, შინაარსითა და ფორმით განსხვავებული იყო. ამ დოკუმენტებში ასახულია ქვეყნის საგყეო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებები და არა ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებმაც გავლენა შეიძლება მოახდინონ კონკრეტულ გარემოზე, რომლებიც მიღებული იყო გაუმჭვირვალედ და რომლებსაც ჩვენ ვასაჩივრებთ. ამ დოკუმენტს დღემდე პროექტის სტატუსი აქვს. ზოგადად, გრძელვადიანი (20 წლამდე) ცივისარგებლობა დაშვებულია ჯერ კიდევ 1999 წელს მიღებული “საქართველოს ცივის კოდექსით” (მუხლი 52), ხოლო ცივისარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ეძლევა გრძელვადიან ცივისარგებლობას (მუხლი 54, პუნქტი 3). სამინისტროს ლოგიკას რომ მივყევით, ეს ჩანაწერი უფრო უნდა ჩაითვალოს მოსახლეობის ინფორმირებად, ვიდრე “საქართველოს საგყეო პოლიტიკის” დოკუმენტის პროექტად.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ სადავო აქტებზე გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტროს მხრიდან არანაირი სახით არ მომხდარა საზოგადოების წინასწარი ინფორმირება. საქართველოს კანონმდებლობა კი (მათ შორის ორპუსის კონვენცია და ცივის კოდექსი) ნებისმიერ პირს აძლევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას, შესაბამისად ამ უფლების რეალიზების ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან შესრულებული მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ის გადაწყვეტილების მიღებამდე შეაგყობინებს საზოგადოებას, ხელმისაწვდომი და ეფექტური წყაროების მეშვეობით და განიხილავს მიღებულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტროს წინასწარ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებისთვის უნდა ეცნობებინა, რომ გეგმავს სამეგრელო-ზემო სვანეთის, ყვარელისა და ახალციხის საგყეო უბნების კონკრეტულ კვარტლებში ხანგრძლივადიანი ლიცენზიების გაცემას, გამოექვეყნებინა პროექტი სალიცენზიო პირობების შესახებ და განეხილა დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შემოსული შენიშვნები და წინადადებები. ამასთანავე, სამინისტროს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება, მაგალითად, სვანეთის მოსახლეობისათვის, ხელმისაწვდომი წყარო ნადვილად ვერ იქნება.

ამდენად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს “ცივის კოდექსის” 35-ე და 36-ე მუხლები და ორპუსის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (იგივეა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დოკუმენტი) შესაგებელში არაფერია ნათქვამი ცივის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო პრემიერ-მინისტრის განმარტებაში მცდარი მტკიცებაა.

ორი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუ რა გავლენა იქონია მოსახლეობაზე ამ გადაწყვეტილებებმა:

I. ლიცენზიის პირობებში ნათლად წერია, რომ ლიცენზიანტი ვალდებულია “არ შეზღუდოს მოსახლეობა პირადი მოხმარებისათვის გყის არამერქნიანი რესურსებით (სოკოები, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობაზე”. როგორც ჩვენთვის ადგილებზე გასვლისას გახდა ცნობილი, და ეს დაიბეჭდა საინფორმაციო საშუალებებშიც (გაზეთი მესხეთის ხმა, №27 (127), 23 ივლისი, 2007 წ.) ლიცენზიის მფლობელმა მოსახლეობას უნდა გამოართვას გარკვეული საფასური ასეთი სარგებლობისათვის, მაგ. 5 თეთრი 1 კგ კენკრა. საფასური შესაძლოა მინიმალურია, მაგრამ გადახდის მექანიზმის არარსებობისა და ადგილობრივი მოსახლეობის არაინფორმირებულობის გამო საკითხავია, რამდენი ადამიანი დაჯარიმდა? რამდენად შეესაბამება ეს სალიცენზიო პირობის შესრულებას - “არ შეზღუდოს მოსახლეობა”? გამოდის ეს ნიშნავს - არ დაუშალოს ადგილობრივ მოსახლეობას სარგებლობა, მაგრამ ფული უნდა გადაახდევინოს.

II. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რა პრობლემები ახლდა 2007-2008 ზამთრის სეზონისათვის მოსახლეობის შემთხვევით მომარაგებას. ზამთარი ისე დადგა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარმა ვერ მოახერხა შემის მომარაგება. ამის ძირითადი მიზეზი იყო ტყეკაფების გვიან გამოყოფა (საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.president.gov.ge/print_txt.php?id=2400&l=G). საქმე ისაა, რომ ტყეკაფების გამოყოფა საქართველოში სრულდებოდა მაის-ივნისში, 2007 წელს კი ეს პროცესი ოქტომბერში დასრულდა, ვინაიდან გაზაფხულზე აუქციონის საკითხებით იყო სატყეო დეპარტამენტი დაკავებული. შედეგად მოყვა პრეზიდენტის მკაცრი შეფასება და შემის ვაუჩერების დარიგება, თუმცა ამანაც ვერ გამოიღო რეალური შედეგი. აქვე დგება კიდევ ერთი სერიოზული - ეკოლოგიური ხასიათის პრობლემა. ოფიციალური მონაცემებით (რომლებიც საკმაოდ მოძველებულია და აუხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიასაც მოიცავს), საქართველოს ტყეების წლიური შემადგება დაახლოებით 4 მლნ. კუბური მეტრია, ხოლო მეცნიერულად გამართლებულია დაახლოებით 2 მლნ. კუბური მეტრის მოპოვება. მხოლოდ შემის ვაუჩერებით ნებადართულია 5 მილიონი კუბური მეტრის მოპოვება და ეს რაოდენობაც არ არის საკმარისი მოსახლეობის სრულად მოსამარაგებლად. ამას უნდა დაემატოს მერქნის ის რაოდენობაც, რომელიც მოიპოვება სხვა ხე-ტყის დამზადების ლიცენზიებით. მერქნის მოპოვების ასეთი მასშტაბი გამოიწვევს ტყეების უცილობელ დეგრადაციას, რაც პირველ რიგში მძიმედ დააწვება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფებისა და ტყის რესურსების ამოწურვის სახით. ანუ, უახლოეს მომავალში ეკოლოგიური პრობლემა მძიმე სოციალურ პრობლემად გადაიქცევა. სოფლის მოსახლეობის მიერ ტყის მერქნულ რესურსებზე საჭიროება მხოლოდ შემთხვევით მომარაგებაში არ გამოიხატება, მათ სამასალე მერქანიც ესაჭიროებათ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სერიოზული შესწავლისა და განახლებული ინვენტარიზაციის მასალების გარეშე შეუძლებელია დადგინდეს, საკმარისია თუ არა საქართველოს და კონკრეტულად ამ ლიცენზიებით მოცული ტერიტორიების, მერქნითი მარაგები იმისათვის, რომ ერთდროულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის პირადი ინტერესებიც და ბიუჯეტისთვის დიდი ფისკალური ეფექტიც მოიგანოს.

ამ ვითარებაში კი გასაჩივრებული ბრძანებების გამოცემით ცხადია, არ იქნა გათვალისწინებული ფართო საზოგადოების ინტერესები ტყით სარგებლობის პრიორიტეტებთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ გადაწყვეტილების

მიღების პროცესი აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და არამონაწილეობითი იყო, რის გამოც ვერ მოხერხდა შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილება საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმირებულობის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და საგყეო და ბიომრავალფეროვნების ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად თუნდაც აკრძალულიყო ხე-გყის დამზადება მაღალი გარემოსდაცვითი (კონსერვაციული) ღირებულების ტყეებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური საგყეო სამმართველოს (6 330 ჰა) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური საგყეო სამმართველოს (9 283 ჰა) გარკვეულ ნაწილებზე და ასევე გათვალისწინებული ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის გრადიციული მოთხოვნილებები საგყეო რესურსებზე.

ასევე უსაფუძვლოა მოპასუხეთა მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ორჰუსის კონვენცია არ ეხება გყით სარგებლობას, ვინაიდან ამბობს, რომ საზოგადოების მონაწილეობა სავალდებულოა მხოლოდ კონვენციის დანართ 1-ში ჩამოთვლილი საქმიანობებისას. ეს არის კონვენციის ტექსტის არასწორი გაგება. ეს მტკიცება ისევე უსაფუძვლოა, როგორც ის, რომ “მწვანე ალგერნატივა” არ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, ვინაიდან გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენდა მათ მიმართ გამოცემულ აქტს და არ ხელყოფდა მათ კანონიერ ინტერესებს (იხ. სარჩელის დანართი №13). ორჰუსის კონვენცია განმარტავს, თუ რას ნიშნავს დაინტერესებული საზოგადოება - პირდაპირაა დასახელებული “არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები” (მუხლი 2. პუნქტი 5.)”.

2) სალიცენზიო პირობების საკითხები

აუქციონის მოწყობისას არ იქნა მუსგად დადგენილი მოსაპოვებელი რესურსის საერთო ოდენობა და შესაბამისად, არასწორადაა დაანგარიშებული სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი. კერძოდ:

სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 18 სექტემბრის №1020 “სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”. სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასის დადგენისათვის გამოიყენება სპეციალური ფორმულა:

$$Y = \frac{\sum_{t=1}^n (Q / n \times L)}{(1 + K)^t}$$

სადაც

Y - სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასია;

Q - ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობა.

n - ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ვადა (წლებში).

მოსაჭრელი რესურსის მოცულობა დგინდება გყეთმოწყობის საფუძველზე. საქართველოს “გყის კოდექსის” მიხედვით (მუხლი 27. პუნქტი 1.), გყეთმოწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (ათწლიანი ციკლით).

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემებით, ახალციხეში ბოლო გყეთმოწყობა ჩატარდა 1997-99 წლებში. ვინაიდან ლიცენზიის გაცემა ხდება 20 წლით, კანონმდებლობის შესაბამისად, მოსაჭრელი რესურსის მთლიანი მოცულობის დასადგენად საჭიროა, გყეთმოწყობა ჩატარდეს მინიმუმ ორჯერ: 2007 წელს და 2017 წელს. ამდენად, 1997 წელს ჩატარებული გყეთმოწყობის საფუძველზე ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი რესურსის (ანუ ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობის) რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება არ ასახავს რეალობას და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ ეგაპზე შეუძლებელია ითქვას, აუქციონის საწყისი ფასის დადგენისას გედმეტი იანგარიშეს, თუ ნაკლები. სამეგრელო-ზემო სვანეთში ბოლო გყეთმოწყობა ჩატარდა აუქციონამდე 23 წლით, ხოლო ყვარელში – 15 წლით ადრე.

ამდენად, სამივე ლიცენზიასთან დაკავშირებული გყეთმოწყობის მასალების საფუძველზე (ყვარელი 1989-1992 წ., ახალციხე 1997-1999 წ., სამეგრელო-ზემო სვანეთი 1984-1985 წ., საგყეო დეპარტამენტის №17/02-8/244-1830 წერილი, წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულების სახით) ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი რესურსის (ანუ ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობის) რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება შეუძლებელი იყო.

ირღვევა “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლი (პუნქტი 5), სადაც აღნიშნულია, რომ “ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და ღროში განსაზღვრული ნორმები და წესები”. აღნიშნულის შესრულება რომ სავალდებულო იყო არც სამინისტრო უარყოფს მიერ ბატონ პეტრე მამრადისადმი გაგზავნილი წერილში (დანართი 9).

რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებელი, ხე-გყის მოპოვების შემთხვევაში, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მუსტად უნდა იყოს მითითებული მოსაჭრელი მერქნიანი მცენარის რაოდენობა სახეობების მიხედვით, მითითებული იყოს ფართობი, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს ჭრები, მითითებული იყოს მერქნის მოპოვების მეთოდი. ჩვენს მიერ გასაჩივრებული ბრძანებების დანართებში (დანართი 1) არ არის მოცემული საგყეო კვარტლები და ლიგერები, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს ჭრები; ანუ ლიცენზიით გაცემული მთლიანი გერიგორიიდან ჭრადამუვებული უბნების ფართობი. ასევე, ბრძანებაში არ არის მითითებული მერქნის მოპოვების მეთოდი ანუ ჭრის სახეობა, ერთ-ერთ ბრძანებაში (№470) არ არის მითითებული მოსაჭრელი სახეობები (სახეობების ჩამონათვალის ნაცვლად წერია “წიწვიანი”). ასეთი სახით ჩამოყალიბებული სალიცენზიო პირობები მიუთითებენ გყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5

პუნქტის მოთხოვნების დარღვევაზე და უსაფუძვლოა მოპასუხის შესაგებელში მოცემული მტკიცება, რომ ასეთ დარღვევას ადგილი არ აქვს.

ჩვენ არ მივიჩნევთ სწორად სამინისტროს მტკიცებას იმის შესახებ, იმ დროს, როცა ბოლო გყით მოწყობის შემდეგ გასულია ერთ შემთხვევაში 15 და მეორე შემთხვევაში 23 წელი, შესაძლებელია მოხდეს საქართველოს გყის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება და გყით სარგებლობის ლიცენზია 20 წლით. გაცემისას მოხდეს ლიცენზიით განსაზღვრული პერიოდის მანძილზე მოსაპოვებელი მერქნის რაოდენობის შეფასება, გყის იმ უბნების დადგენა, სადაც შესაძლებელია მთავარი სარგებლობის, სპეციალური და მოვლითი ჭრების ჩაგარება, საანგარიშო ცყეკაფების და გასაგარებელი ღონისძიებების სახეების, მოცულობებისა და ოდენობის განსაზღვრა, გყითსარგებლობის უბნების დადგენა და მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

გყის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს, რომ გყეთმოწყობის გარეშე გყით სარგებლობა დაიშვება “გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის გყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე”. ამგვარი რამ პრაქტიკაში არსებობდა მხოლოდ ერთწლიანი ლიცენზიების გაცემისას, როცა დასადგენი იყო უახლოეს ერთ წელიწადში მოსაპოვებელი მერქნის რაოდენობა. ამასთანავე, სამინისტრომ უნდა დაადასტუროს რომ ამგვარი კორექტირება კეთდებოდა ყოველწლიურად, თანხმდებოდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან” და არსებული მასალები მუსგად შეესაბამებინა ლიცენზიით დადგენილ კვოტებს. ამგვარი დასაბუთება და დოკუმენტური მასალა მოპასუხეს არ წარმოუდგენია. ამასთანავე ეს მუხლი წარმოადგენს კოდექსის გარდამავალ დებულებებს.

3) გარემოსდაცვითი საკითხები (ბიომრავალფეროვნება)

ხე-გყის დამზადებისათვის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩაგარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გერიგორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული მიზანშეწონილობის შეფასების გარეშე, (წამოღგენილია დამაგებითი მტკიცებულების სახით სამინისტროს წერილი №11/11-67, 07.04.2008) უფრო მეტიც, WWF-ის მომზადებული ასეთი დასკვნა უგულვებელყოფილ იქნა. სწორედ ამან გამოიწვია შემოთ ხსენებული კანონდარღვევები და რაც ასევე ეწინააღმდეგება გყის მდგრადი მართვის პრინციპებს, რომლებიც დეკლარირებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციასა და ინიციატივაში, რომელთა წევრია ჩვენი ქვეყანა.

ლიცენზიით განსაზღვრული გერიგორიები მოიცავენ მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების გყის კორომებს. ეს არის ფაქტი, რომელიც დასტურდება როგორც სპეციალური მეცნიერული კვლევებით, ისე გყეთმოწყობის მასალებით. სწორედ ამ ფაქტის დასადასტურებლად იყო ნახსენები ჩვენს სარჩელებში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF Caucasus PO)

მომზადებული დოკუმენტი¹ მასში აღნიშნულია, რომ “სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოყენებული იქნა საგყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის გერიტორიული ორგანოების, ტყის კორომთა გეგმები, სქემები და იქ არსებული ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების (საგყეო უბნები), ფართობები და სქემატური ნახაზები”. ამდენად მცლარია სამინისტროს შესაგებელში მოცემული მტკიცება იმისა, რომ ტყეთმოწყობის მასალებით ასეთი უბნები არ იქნა გამოვლენილი. ამ მტკიცების სიმცლარეს ადასტურებს სამინისტროს მოწოდებული კორომთა გეგმები (საგყეო დეპარტამენტის წერილი № 17/02-8/244-1830, 04.10.2007, რომელიც ჩვენი შუამდგომლობით მტკიცებულების სახით იქნა წარმოდგენილი) სადაც აღნიშნულია, რომ ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე განლაგებული იშვიათი და საფრთხის წინაშე მდგომი კორომები, როგორებიცაა წაბლი, უხრაფი, მუხა, ბზა. კიდევ უფრო გაუგებარია სამინისტროს შესაგებელში მოცემული მტკიცება, რომ მათ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალებით არ დასტურდება, რომ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიები წარმოადგენენ მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს ხელთ არსებული დოკუმენტურ მასალად ითვლება ყველა დოკუმენტი, რომელიც შესულია ამ დაწესებულებაში, მათ შორის WWF–ის დოკუმენტი. სამწუხაროდ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამინისტრო არ ფლობს, ან ფლობს და არ ითვალისწინებს ინფორმაციას, თუ რა ღირებულების გაყიდვას ახდენენ გრძელვადიანი ლიცენზიებით და რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოიგანოს ამან.

გაუგებარია შესაგებელში მოცემული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ WWF–ის დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და შეუძლებელია იხელმძღვანელოს ლიცენზიის გამცემმა. ჩვენ არ მოგვითხოვია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

¹ ციგაგა ამ დოკუმენტიდან: 2005 წლის ბოლოსა და 2006 წლის დასაწყისში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის დახმარებით წინასწარ განისაზღვრა სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული 2006-2010 წლისათვის დაგეგმილი და ფუნქციონირებისათვის დასაპროექტებელი დაცული ტერიტორიების ქსელი შემდეგი დოკუმენტაციის, მასალებისა და პროექტების საფუძველზე: 1) კარტოგრაფიული მასალებისა და GIS ინფორმაციის გამოყენება; 2) გარემოს დაცვის სფეროში დაცული ტერიტორიების მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები და საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები (კონვენციები); 3) მსოფლიო ბანკის მიერ დაცული ტერიტორიების დაგეგმვის საქმეში საპროექტო დოკუმენტებისა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალების ანალიზი; 4) წარსულში უსაფუძვლოდ გაუქმებული დაცული ტერიტორიების აღდგენასთან დაკავშირებული მასალები; 5) საქართველოს მოსახლეობისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით წარმოდგენილი დასაპროექტებელი დაცული ტერიტორიების მონაცემები; 6) ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) “ტყეები სიცოცხლისათვის კამპანიის გამო” ფარგლებში წარმოდგენილი დაპროექტებული დაცული ტერიტორიების მასალები; 7) დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების დოკუმენტაცია; 8) საგყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიალური ორგანოების, ტყის კორომთა გეგმები, სქემები და იქ არსებული ადმინისტრაციული ტერიტორიალური ერთეულები (საგყეო უბნები), ფართობები და სქემატური ნახაზები. აღნიშნული დოკუმენტაციების საფუძველზე სამუშაოები განხორციელდა ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტყის რესურსების მართვის, დაგეგმვისა და კონსერვაციული მეტყვეობის სფეროში დასაქმებული სპეციალისტების მიერ.

სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის არშესრულების გამო, ასეთი რამ არსად არაა აღნიშნული სარჩელში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დაირღვა გარემოსდავითი კანონმდებლობის ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები, რაც გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებასა და გარემოს დეგრადაციას. ხოლო ეს (WWF-ის მომზადებული) დოკუმენტი სარჩელში იმ მიზნითაა დასახელებული, რომ დაგვედასტურებნა, რომ ეს ტყეები წარმოდგენენ მაღალი კონსერვაციული ღირებულების კორომებს. კერძოდ, დარღვეული იქნა:

ა) საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილება “საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ”. მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია “ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების გონივრული მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) დანერგვის გზით”. ამ მიზნის შესასრულებლად კი საჭიროა: “ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებულ ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება”.

გაუგებარია შესაგებელში მოგანილი ინტერპრეტაცია იმის შესახებ, რომ მათ არ დაურღვევიათ მთავრობის ეს დადგენილება, ვინაიდან ხანგრძლივადიანი ლიცენზირება უკეთესია ერთწლიანზე. ან თითქოს ამ დადგენილებით არ იკრძალება ლიცენზიების გაცემა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ხანგრძლივადიანი ლიცენზიები არ გაიცეს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არ უნდა მოხდეს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების ხარჯზე. ასეთი მასშტაბის ტყითსარგებლობაზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მომხდარიყო ისეთი გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, როგორცაა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის (შენარჩუნების) თვალსაზრისით მიზანშეწონილობა და მოსახლეობის საჭიროებები, რასაც მოითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1 პუნქტი.

ბ) საქართველოს კანონი “გარემოს დაცვის შესახებ”; მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტი - “ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი” – საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას.

47-ე მუხლის მე-2 პუნქტი - საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების “წითელ ნუსხასა და საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ცხოველთა და მცენარეთა ბიოლოგიურ სახეობათა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა: ნადირობა, რეწვა, მოპოვება, ჭრა, თიბვა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა), რაც იწვევს მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ საბინადრო გარემოსა და არსებობის პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით იკრძალება უშუალოდ “წითელ ნუსხაში” შესული სახეობების მოპოვება, მოხდება მათი საბინადრო გარემოს მნიშვნელოვანი დეგრადაცია ამ ბრძანებით გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ჩატარებული მასობრივი ჭრების შედეგად.

53-ე მუხლის 1 პუნქტი - საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს და მის ღვერადაციას.

ბრძანებით გათვალისწინებული მოცულობით ჭრების ჩაგარების შედეგად ბიომრავალფეროვნების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები და მისი ღვერადაცია გარდაუვალი იქნება.

გ) საქართველოს კანონი “საქართველოს “წითელი ნუსხისა” და “წითელი წიგნის” შესახებ”;

მუხლი 10. “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები”, პუნქტი 2. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის, ნადირობა, რეწვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), **ჭრა** და თიბვა, ... რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება.

“საქართველოს გყის კოდექსის” 46-ე მუხლი ასევე ეხება ბიომრავალფეროვნების კონვენციის შესრულებას.

სრულიად უსაფუძვლოა შესაგებელში მოცემული მტკიცება, რომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ ირღვევა და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას საფრთხე არ ექმნება, ვინაიდან ლიცენზიის პირობები ავალდებულებენ მის მფლობელს წარმოადგინოს “საერთაშორისო საგყეო სამეურვეო საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ “მენჯამენტის პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა”, რომელიც უნდა მოიცავდეს “გყის მდგრადი განვითარების კომპონენტებს” (სტკილი დაცულია). შესაგებლის ამ ნაწილში უამრავი გერმინოლოგიური და შინაარსობრივი უზუსტობაა დამკვებული, რაც მიუთითებს სამინისტროს მტკიცების არამართებულობაზე. ჩვენს მიერ გასაჩივრებულ მინისტრის ბრძანებებში აღნიშნულია, რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია “ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა”. “მენჯამენტის გეგმასთან ერთად წარმოადგინოს საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ მენჯამენტის გეგმაზე გაცემული დასკვნა“. ანუ ეს გეგმა, რომელსაც ერთიდაიგივე ბრძანებების ერთ მუხლში ეწოდება მართვის, ხოლო მეორეში მენჯამენტის გეგმა, უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო 2008 წლის 4 მაისამდე.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებით, „გყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-8 მუხლი „სალიცენზიო პირობები“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც ლიცენზიის მფლობელთა მიერ წარმოსადგენ გეგმასთან დაკავშირებით განისაზღვრა განსხვავებული ვადები და მოთხოვნები, კერძოდ: „ე) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი გყით სარგებლობის გეგმა; ვ) გყით სარგებლობის გეგმასთან ერთად წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა“;

ამრიგად, ამ რედაქციით (მთავრობის დადგენილებაში) მართვის/მენეჯმენტის გეგმას ეწოდება „ტყით სარგებლობის გეგმა“, რომელმაც დასკვნა უნდა გასცეს არა საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებულმა ორგანიზაციამ, არამედ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებულმა შესაბამისმა ორგანიზაციამ. მთავრობის დადგენილების მიხედვით, ამ გეგმის წარმოდგენა უნდა მომხდარიყო ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა, ანუ არა უგვიანეს 2008 წლის 4 მარტისა (ვადებთან დაკავშირებით სხვა კონკრეტული თარიღი ან გამოწვევის არ არის ამ დებულებაში, რომელიც იცხობდა, რომ ამ კონკრეტული ლიცენზიებისთვის ვადის ათვლა უნდა დაიწყოთ სხვა თარიღიდან და არა 2007 წლის 3 მაისიდან). სალიცენზიო პირობების შეცვლასთან დაკავშირებული ეს გარემოებები შესაგებელში ადეკვატურად არ არის ასახული. ამ სახით შესაგებელში მოყვანილი მკვიცება და სალიცენზიო პირობების ინტერპრეტაცია მცდარია. სამივე მოპასუხის შესაგებელი შემოტანილია ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ.

ამასთანავე, მინისტრის ბრძანებების მიხედვით, მართვის/მენეჯმენტის გეგმა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის შემდეგ. თუ გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის საწინააღმდეგო საშუალებად ეს გეგმა მიაჩნიათ, რა იცავს ბიომრავალფეროვნებას მის შემუშავებამდე? ამასთანავე, შემუშავებული მენეჯმენტის გეგმა, თუ ასეთი რამ განხორციელდა, დაეყრდნობა ლიცენზიანტის, ანუ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ მონაცემებს. იმ პირობებში კი, როდესაც სამინისტრომ არ იცის ან არ უნდა იცოდეს ამ ტყეების რეალური ღირებულების შესახებ, დაინტერესებული მხარის – ლიცენზიის მფლობელის - მიერ შეფასებული რესურსის ათვისების გეგმა ვერანაირად ვერ ჩაითვლება გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვის გარანტიად.

2008 წლის 26 ივნისს გამოიცა საქართველოს მთავრობის №140 დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“. ამ დადგენილებით მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებას დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაცემული ხანგრძლივადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ დასამტკიცებლად ტყით სარგებლობის გეგმა.“

თუ სამინისტროს, თავისი შესაგებელის მიხედვით, ბიომრავალფეროვნების დაცვის ერთადერთ და საკმარის პირობად მიაჩნია ლიცენზიების მიერ შედგენილი ტყის მართვის გეგმა, რაგომ მოხდა მისი წარმოდგენის ვადის გაგრძელება, თანაც მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელთა მიერ დაირღვა მათი წარმოდგენის ვადა? ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გასაჩივრებელი აქტები არღვევენ საქართველოს

გარემოსდაცვით კანონმდებლობას, მათში მოცემული სალიცენზიო პირობები კი საფრთხეს უქმნიან ბიომრავალფეროვნებას.

სალიცენზიო პირობები რომ გამართულად იყოს ჩამოყალიბებული, ისე, რომ უზრუნველყოფდეს გარემოს დაცვას, არც ჩვენ გავხდებოდით იძულებული სარჩელით მიგვემართა სასამართლოსთვის. კონკრეტულად, ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის საფრთხე აცილებული იქნებოდა, თუ ლიცენზიით მოცულ ფართობებში არ შევიდოდა მაღალი გარემოსდაცვითი (კონსერვაციული) ღირებულების ტყეები, რომელიც მოცემულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დასკვნაში - სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოდან 6330 ჰა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს 9283 ჰა; ან სალიცენზიო პირობებში მითითებული იქნებოდა, რომ ამ კონკრეტულ სატყეო კვარტლებში ხე-ტყის დამზღვრა იკრძალება, ხოლო ლიცენზიანტი მოვალეა ასახოს ეს აკრძალვა მართვის გეგმაში.

ნათელია, რომ გასაჩივრებული აქტების გამოცემისას არსებითად იქნა დარღვეული კანონმდებლობა, ხოლო ამ დარღვევების არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, მაგალითად:

იმ შემთხვევაში, თუ მოცემული პირობებითა და მოცემულ ტერიტორიაზე (ფართობებზე) აუქციონის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოება იქნებოდა ადეკვატურად ინფორმირებული და ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორჰუსის კონვენციისა და ტყის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, გამოკვლეული იქნებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, მათ შორის საჯარო კონსულტაციების გზით, და გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობებში არ მოხვდებოდა მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეები - პოტენციური დაცული ტერიტორიები (თაიას სატყეოს 4865 ჰა, მუხურის სატყეოს 2580 ჰა, მაგანას სატყეოს 1838 ჰა; ვალეს სატყეოს 3467 ჰა, ურაველის სატყეოს 2863 ჰა). ასევე მოხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინება; ტყის კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში ჩაგარებული (განახლებული) ტყეთმოწყობის შემთხვევაში, შეიცვლებოდა მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა, ასევე მისგან გამომდინარე აუქციონის საწყისი ფასი.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ სარჩელში მოყვანილი და ახსნა-განმარტებებით წარმოდგენილი არგუმენტები ადასტურებენ მოსარჩელე მხარის მოთხოვნის კანონიერებას და უნდა გახდნენ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

კერძოდ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №471 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №91 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
6. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №93 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენი განცხადების საფუძველზე, ამ ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხი შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმა, სამართლიანად მიიჩნია ჩვენი მოთხოვნები და თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტები არ აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესი უპირატესია კერძო პირის ინტერესთან შედარებით და აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი